სსიპ ჟიული შარტავას სახელობის ქ.სენაკის N-2 საჯარო სკოლა

გაკვეთილის გეგმა;

მასწავლებლის სახელი, გვარი: მეგი გრიგოლია.

სწავლების საფეხური/კლასი : I საფეხური, I-ა კლასი, ქართული ენა

მოსწავლეთა რაოდენობა: 25

გაკვეთილის თემა: „ო, ენავ ჩემო“

გაკვეთილის მიზანი:

- ქართული ენისადმი პატივისცემისა და სიყვარულის უნარის გამომუშავება;
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

წარმოდგენილი გაკვეთილის თემა და მიზანი თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. გაკვეთილის გეგმის შედგენისას გავითვალისწინე I კლასის ქართული ენის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნები. ჩემი გაკვეთილის მიზანი გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ემსახურება ინდიკატორებში გაწერილი შედეგების მიღწევას.

N	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი|მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა|ფორმები	სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობლივი რესურსების მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებით)	დრო (წთ)
1	**აქტივობა:** საორგანიზაციო საკითხები; **მიზანი** სასწავლო მიზნისა და შესაბამისი მოლოდინების განსაზღვრა, მოსწავლეების პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება და მოტივაციის გაზრდა.	ვერბალური ახსნა; წინარე ცოდნის გააქტიურება;	მთელი კლასი	წინასწარ ამობეჭდილი გაკვეთილის ტემა, მიზანი, შეფასების რუბრიკა. მოსწავლეებს შეექმნებათ შესწავლილი თემისადმი პიროვნული დამოკიდებულებებისა და კავშირების გამოკვეთის შესაძლებლობა. შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა საბოლოო შედეგებისა და წარმატების მაჩვენებლის	2 წთ

	აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ესალმება კლასს, აცნობს გაკვეთილის თემას, მიზნებს და შეფასების რუბრიკას; შესავალი საუბარი დედაენაზე.			დანახვაში, მოსწავლეებს კი მიღწეული შედეგების გაუმჯობესების გზების დანახვაში.	
2	მოლბერტზე წინასწარ ჩამოდებული მაქვს „დედაენის ძეგლის“ სურათი. მივმართავ მოსწავლეებს: რასთან ასოცირდება დედაენის ძეგლი? (სავარაუდო პასუხები: იაკობ გოგებაშვილი, 33-ჯერ გამოცემული დედაენა, წერა-კითხვის გავრცელება, სიწმინდე, საფიცარი, ქართველების ბურჯი, ძვირფასი სალარო, განძი.....) **მიზანი** არის არსებული ცოდნის სისტემაში მოყვანა;	ვერბალური ახსნა; მოსწავლეთა აქტიურობა;	მთელი კლასი	საშუალო ზომის თაბახის ფურცელზე დახატული დედაენის ძეგლის სურათი ჩემ მიერ გამოყენებული თვალსაჩინოება ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და ინტერესის გაღვივებას.	3 წთ
3	აქტივობა: პოეზია **აქტივობის მიზანი:** ლექსიკური მარაგის გამდიდრება **აქტივობის აღწერა:**	ანდაზების, ლექსების გახსენება დედაენაზე.	მთელი კლასი	სხვადასხვა პოეტების ლექსთა კრებულები; პოეზია ეხმარება მოსწავლეებს ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში.	10 წთ

	მოსწავლეები იხსენებენ ლექსებს, გამონათქვამებს დედაენაზე.			მოცემული რესურსი ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ქართული ენისადმი პატივისცემისა და სიყვარულის უნარის გამომუშავებას; მშობლიური ენის სიწმინდის დაცვაზე ზრუნვას;	
4	აქტივობა: პრეზენტაციების გამართვა მიზანი: ლექსიკური მარაგის გამდიდრება; აქტივობის აღწერა მოსწავლეებმა მოახდინეს პრეზენტაცია შემდეგ თემებზე: „იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია“ „გამონათქვამები დედაენაზე“ „გილოცავთ დედაენის დღეს“.	პრეზენტაციები	ინდივიდუალური.	დიდი ზომის ფორმატის ქაღალდებზე წინასწარ გამზადებული პრეზენტაციები; ასეთი ტიპის პრეზენტაციები ხელს უწყობს ლექსიკუტი მარაგის განვითარებას და დედაენის მიმართ პატივისცემის უნარის გამომუშავებას.	10 წთ
5	აქტივობა: „ანბანის კოშკის აწყობა“. მიზანი: ანბანის თანმიმდევრობაზე დაკვირვება, განმტკიცება. აქტივობის აღწერა: ყველა მოსწავლე გამოდის და აწყობს ანბანის კოშკს.	„ანბანის კოშკი“.	ინდივიდუალური. მთელი კლასი	წინასწარ გამზადებული ანბანის კოკი და 33 ასო-ბგერა. ეს რესურსი ხელს უწყობს მოსწავლეებში ანბანის თანმიმდევრობის დაცვასა და დედაენის მიმართ პატივისცემის უნარის გამომუშავებას.	5 წთ

	თითო-თითო ასოს აკრავს თანმიმდერობით კოშკს.				
6	გაკვეთილის შეფასება მოსწავლეთა მიერ ,,გაკვეთილზე მიღებული ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება“ . **მიზანი:** მოსწავლეთა მონიტორინგი. აქტივობის აღწერა: მოსწავლეები ინდივიდუალურად წერენ გაკვეთილზე მიღებულ შთაბეჭდილებას.	გაკვეთილის შეფასება მოსწავლეთა მიერ.	ინდივიდუალური.	ფერადი სტიკერები; მოცემული დავალებით ვახდენ მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებას. ვაკვირდები მათ მუშაობას და ვაკეთებ ჩანიშვნებს მოსწავლეთა სწავლის\პროგრესის მონიტორინგის მიზნით.	2-3წთ
საშინაო დავალება: დაწერე თემა: ,, საკუთარი ფანტაზიით დახატე დღევანდელი გაკვეთილი“.					

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი:

ქართული:

ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.

- სწორად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში;
- გასაგებად გამოხატავს სათქმელს;

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს მარტივ ინფორმაციას ნაცნობ თემაზე;

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება;

- მკაფიოდ გამოთქვამს ბგერებს/ მარცვლებს სიტყვაში;

ქართ. დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

- თავისუფლად კითხულობს ნაცნობ სიტყვებს;
- თავისუფლად კითხულობს ანბანის ყველა ასოს;
- ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს და იგებს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტებს;

შეფასება:

გაკვეთილზე ჩართულობის შეფასების რუბრიკა

შეფასების კომპონენტები	საუკეთესო	კარგი	გასაუმჯობესებელი
საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა	აქტიურადაა ჩართული ყველა სახის აქტივობის შესრულებისას.	ჩართულია ზოგიერთი აქტივობის შესრულებისას.	ვერ ერთვება საგაკვეთილო პროცესში.
გამართული და სწორი მეტყველება	გამართულად მეტყველებს,	თითქმის გამართულად მეტყველებს,	ვერ ახერხებს გამართულ და სწორ

	ზუსტად იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს.	მაგრამ მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვის დროს უშვებს უმნიშვნელო უზუსტობებს.	მეტყველებას. ვერ იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს.

პრეზენტაცია;

კრიტერიუმები	**საუკეთესო**	**კარგი**	**გასაუმჯობესებელი**
პრეზენტაციის ვიზუალური ნაწილი	ინფორმაციას გადმოსცემს ზუსტად , შინაარსს კი გასაგებად.	ინფორმაციას და შინაარსს გადმოსცემს შიგადაშიგ დახმარებით.	უჭირს ინფორმაცის წარმოდგენა ; ვერ გადმოსცემს შინაარსს.
მიზანთან შესაბამისობა	ინსტრუქცია გათვალისწინებულია.დავალება სრულყოფილად არის შესრულებული.	ინსტრუქცის გათვალისწინებით დავალების შესრულებას ახერხებს შიგადაშიგ დახმარებით.	ვერ ახერხებს ინსტრუქციის გათვალისწინებას; უჭირს დავალების შესრულება.
მთლიანი შთაბეჭდილება	ინფორმაციულია, გასაგები და ამომწურავი.	ინფორმაციულია ნაწილობრივ.	არ არის სრულყოფილი და გასაგები.
დროის ლიმიტი	ზუსტად იცავს დროის ლიმიტს	დახმარებით იცავს დროის ლიმიტს.	ვერ იცავს დროის ლიმიტს.

დანართი-1.

დანართი-2



დანართი-3

დანართი-4

დანართი-5